ხელშეკრულება # 36

(ავტოტექნიკური მომსახურების და საქონლის მიწოდების შესახებ)

ქ. გორი 2022 წ.

ერთი მხრივ შპს „ჯი-თი მოტორსი“ (ს/კ 206276340) წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, თემურ უსტიაშვილის სახით, (შემდგომში „შემსრულებელი“) და მეორე მხრივ გორის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი მისი მერის ვლადიმერ ხინჩეგაშვილის სახით (შემდგომ „დამკვეთი“), ვმოქმედებთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და ,,სახელმწიფო მშესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას ავტომანქანის ტექნიკური მომსახურების შესახებ (შემდგომ „ხელშეკრულება“)

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 გორრის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის ადგილობრიბვი ბიუჯეტის სახსრებით სატრანსპორტო აქსესუარების და ნაწილების (CPV 34300000) შესყიდვა. შესყიდვის საშუალებაა - გამარტივებული შესყიდვა.

1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს - CPV 34320000 მექანიკური სათადარიგო ნაწილები, ძრავებისა და ძრავის ნაწილების გარდა - დამკვეთის დავალებით, შეთანხმებული ანაზღაურების სანაცვლოდ, შემსრულებლის მიერ შემდეგი სახის მომსახურების გაწევა: მხარეთა შორის შეთანხმებული პერიოდულობით ან/და დამკვეთის საჭიროებისამებრ, დამკვეთის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის, ავტოტექნიკური მომსახურების გაწევა, საჭიროებისამებრ ავტოსათადარიგო ნაწილებითა და სხვა მასალით უზრუნველყოფის ჩათვლით (შემდგომში ”მომსახურება”) ან/და დამკვეთისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილების, აქსესუარებისა და დეტალების მიწოდება, ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის (შემდგომში ”საქონელი”).

1.3 გასაწევი მომსახურებისა და ავტონაწილების ჩამონათვალი და ფასების პრეისკურანტი მოცემულია პრეისკურანტი დანართ #1-ში რომლიც თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. მხარეთა უფლება-მოვალეობები

შემსრულებელი ვალდებულია

2.1.სამუშაო შეასრულოს სრულად და ჯეროვნად, შეთანხმებული ხარისხისა და აღიარებული სტანდარტის დაცვით მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში.

2.2. სამუშაოს შესრულების პროცესში გაითვალისწინოს დამკვეთის შენიშვნები გონივრულობისა და მიზანშეწონილობიდან გამომდინარე.

დამკვეთი ვალდებულია

2.3. მხარეთა შორის შეთანხმებულ ვადებში შემსრულებლისგან მიიღოს გაწეული ხარისხის მომსახურება ან/და მიწოდებული საქონელი მათთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტთან ერთად.

2.4. გადაიხადოს გაწეული მომსახურების ან/და მიწოდებული საქონლის საზღაური მხარეთა შორის შეთანხმებული წესითა და პირობებით.

2.5. მომსახურების მიღებისას განახორციელოს ავტომანქანის შემოწმება და კონტროლი პირადად ან გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით.

2.5 შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების კონტროლზე და მომსახურების მიღება/ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს წარმოადგენს თამაზ მჭედლიძე - გორის მუნიციპალიტეტის მერიის მატერიალურ-ტექნიკური და შრომის უსაფრთხოების განყოფილების სპეციალისტი

3. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

3.1. ხელშეკრულების ღირებულება არის **2 000 (ორიათასი)** ლარი, ხოლო პრეისკურანტის ღირებულება **10 850.25 (ათი ათას რვაას ორმოცდაათი და 25 თეთრი)** ლარი
3.2 გაწეული მომსახურეობის/მიწოდებული საქონლის საზღაური აისახება მხარეთა მიერ გაფორმებულ მიღება-ჩაბარების, შესრულებული სამუშაოს აქტში, რომლის საფუძველზეც გამოიწერება შესაბამისი ანგარიშ-ფაქტურა, ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შემსრულებლის მიერ დადგენილი საერთო ფასების შესაბამისად.
3.3. დამკვეთი იღებს ვალდებულებას მოახდინოს ანგარიშსწორება შესაბამისი მომსახურების გაწევიდან, არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.
3.4. თუ, სერვისისა და სათადარიგო ნაწილებთან დაკავშირებული დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობა აღემატება 5 დღეს (5 დღიანი ვადის ათვლა იწყება წინამდებარე ხელშეკრულების მესამე მუხლის 3.2. პუნქტით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდგომ), კომპანია უფლებამოსილია დამკვეთს შეუჩეროს მომსახურების გაწევა ან/და საქონლის მიწოდება, დავალიანების 100%-ის დაფარვამდე.
3.5. ანგარიშსწორება ხორციელდება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, შემსრულებლის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე, დამკვეთის მიერ თანხის ჩარიცხვის გზით.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4.2. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს დააკისროს პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

5. ფორს-მაჟორი

5.1. მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორული გარემოებების დადგომით, კერძოდ: წყალდიდობით, მიწისძვრით, სტიქიური უბედურებით, ხანძრით, გაფიცვით, სამარი-სამხედრო მოქმედებით, ბლოკადით, სახელმწიფო ორგანოების აქტებით ან ქმედებებით და სხვა. (ფორსმაჟორული გარემოებები).
5.2. მხარეების მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება გადაიდება ფორსმაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე.
5.3. თუ ფორსმაჟორული გარემოებების დადგომისას დამკვეთს მიღებული აქვს გაწეული მომსახურება ან/და საქონელი დამკვეთი ვალდებულია შესაძლებლობის ფარგლებში, განახორციელოს ანგარიშსწორება გაწეული მომსახურების ან/და მიღებული საქონლის სანაცვლოდ.
5.4. თუ ფორსმაჟორული გარემოებები გაგრძელდა 90 (ოთხმოცდაათი) დღეზე მეტხანს, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე და არცერთ მხარეს არ ექნება მეორე მხარისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

6.2.ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა ის ნაკისრი ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშვა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რჩება ძალაში მათ სრულ შესრულებამდე.
6.3. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარისათვის 20 (ოცი) დღით ადრე დასაბუთებული შეტყობინების გაგზავნით.
6.4.ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოშობილი ვალდებულებები მხარეებმა უნდა შეასრულონ სრულად და ჯეროვნად ხელშეკრულების შეწყვეტისთანავე, თუ მხარეთა შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული.
6.5. ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა საფუძველი რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

7.დასკვნითი დებულებები

7.1. მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი ძალის მქონე იდენტურ ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემათ მხარეებს.
7.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენას.
7.4.წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხდება წერილობითი ფორმით მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, რაც დადასტურებული უნდა იქნას მხარეთა ხელმოწერით.
7.5. წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ რეგულირდება წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება საქართველოს კანომდებლობის შესაბამისად.

შემსრულებელი შპს „ჯი-თი მოტორსი“ ს.კ.206276340. ბანკი: სს „თიბისი ბანკი“ ანგ. ნომ: GE64TB1136936020100001 დირექტორი: თემურ უსტიაშვილი. ხელმოწერა _____ GT MOTORS LTD Подписано цифровой подписью: GT MOTORS LTD Дата: 2022.03.24 10:36:00 +04'00'	დამკვეთი გორის მუნიციპალიტეტის მერია ს/კ 218086087 სახელმწიფო ხაზინა კოდი: TRESGE22 ა/№ 300843460 გორის მუნიციპალიტეტის მერი ვლადიმერ ხინჩეგაშვილი ხელმოწერა _____ Gori Municipality Digitally signed by Gori Municipality Date: 2022.03.23 15:32:37 +04'00'

	FORD RANGER 2.2 MT			
		დანართი N1-პრეისკურანტი		
№	ძირითადი დეტალების და სამუშაოების დასახელება	ერთეულის ზომა	შემოთავაზებული სათადარიგო ნაწილების ერთეულის ფასი	შემოთავაზებული ერთეულზე გაწეული მომსახურების ფასი
1	საბურავის დ/ა; ბალანსირება	ცალი		15
2	წინა სტაბილიზატორის მილისა (სუხოი რეზინები)	ცალი	52	37.5
3	წინა სტაბილიზატორი (სუხოი)	ცალი	1082	67.5
4	ნისლის მაშუქის ნათურა	ცალი	138	15
5	გენერატორის ღვედი	ცალი	270	75
6	გაბარიტის ნათურა	ცალი	9	10
7	წინა მაშუქის ჰალოგენი	ცალი	138	15
8	ანტიფრიზი	ლიტრი	25	
9	სავალი ნაწილის შემოწმება	ცალი		37.5
10	კარტერის ბოლტი	ცალი	47	
11	ელექტრო დიაგნოსტიკა	ცალი		75
12	რესორების შეპოხვა	კ-ტი		150
13	თვლის ნახრის გასოწრება	ცალი		40
14	**სამუხრუჭე სისტემა**			0
15	სამუხრუჭე დისკი წინა	ცალი	716	90
16	სამუხრუჭე სითხე DOT4	ლიტრი	36	93.75
17	სამუხრუჭე დისკი უკანა	ცალი	1385	90
18	**გადაცემათა კოლოფი**			
19	გადაბმულობის ქურო დისკი	კ-ტი	1867	375
20	გადაბმულობის დამწოლი საკისარი (ვიჟიმნოი)	ცალი	570	375
21	ფეჩის რადიატორი	ცალი	650	700
22	ფეჩის რადიატორის მოხსნა დაყენება გამორეცხვა	ცალი		700
23	რესორეზის შესაპოხი სპრეი (თხევადი ტაოტი)	ცალი	65	150
24	საქარე მინის წყლის შემრევი ავზი	ცალი	570	120
			7620	**3231.25**
	საერთო ღირებულება			**10851.25**